



რის ცნობა იბეჭდება რომ ზუგდიდის მაზრიდან ორი უკანასკნელი ქართველი ექიმი იგდირში გაუფხავნიათ გამოქცეულთა დასახმარებლად. იმისდა მიუხედავად რომ დამშუული, წალეკილი და ათასგვარ სენით მოდებულს ზუგდიდის მაზრას ორი ექიმიც არა ჰყოფნის და სოფლის ხალხის ავადმყოფთა მსხვერპლი დღითი დღე იზრდება. მე მესმის სომეხ გამოქცეულთა ტანჯვა ვაება და გაჭირვება, მაგრამ მეგრელების ტანჯვაც მესმის. ტანჯვა ჩუმი და საშინელი.

ეს ტანჯვა მით უფრო გასაგონია, რომ იგი ჩუმი და არა მყვირალა.

ვითხოვთ ყურადღებას იმ ელემენტარულ მოთხოვნებშიაღმძი, რომლის გარეშე დღევანდელ ქართველ ხალხს ტანჯვა უსამართლოდ ასევეცდება. ვითხოვთ იმ ყურადღებას, რომელსაც მთავრობის დეკლარაცია სათათბიროში 19 ივლისს გვპირდებოდა.

ზუგდიდის მაზრიდან ორი უკანასკნელი ექიმის იგდირში გადაყვანა სწორედ ამ უსამართლო და უკანონო ყურადღების ნიშანია.

რას ფიქრობს ამაზე კავკასიის საქმიანობა მარცხივ?

რას ფიქრობს და რა ზომების მიღებას აპირებს დასავლეთ საქართველოს თავდაზნაურობა?

დ. კახელი.

**წერილები პარიზიდან**

(საკუთარ კორესპონდენტისგან)

წერილი №.

**გერმანელთა დამარცხება აფრიკაში.**

უკანასკნელ დღეების სასიხარულო ამბავთაგან მოკავშირეთათვის ეკუთვნის ამბავი გერმანელთა დამარცხებისა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში. პრეტორიიდან გენერალი ბოტა ინგლისის მთავრობას ატყობინებს გერმანელთა ახალშენის სატანტო ქალაქ უინდჰუის აღებას, გერმანელთა კაპიტულიაციას და 3,497 ოფიცრისა და უბრალო ჯარისკაცთა დატყვევებას.

გმირები ამ გამარჯვებისა არიან გენერალი ბოტა და მის ხელქვეით მყოფნი მეომარნი ბურები, რომელნიც ამ 15 წლის წინად თავდადებით ებრძოდნენ ინგლისელთ. მეტად მრავალმეტყველია ეს ფაქტი ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრებისა. მეტი არ იქნება მკითხველს მესსიერებაში გავრცელებული წარსული ამბავი.

დიდი ხანი იყო, ევროპელთ თავალი ეჭირათ სამხრეთ აფრიკის თავისუფალ რესპუბლიკებსა—ტრანსვალსა და ორანჯენზე. ამ რესპუბლიკების მდიდარი მადნები ოქროსი და ალმასისა ყველას მეტად გემრიელ ლუკმად წმინანდა და ჰლომობდა დაჰპატრონებოდა. მოგესხენებათ, ახლანდელს დროში ომისათვის მიზნების გამოძებნა ადვილი საქმე გახლავსო. სხვებს ინგლისმა დაასწრო და 1900 წელს ორს პატარა რესპუბლიკას მშვიოობის მოყვარე და გამრჯე ბურებისას ომი გამოუცხადა. ბურები რიცხვით მეტად მცირენი იყვნენ, და ყველას სიცილიდ არა ჰყოფნდა მათი შეება ინგლისელებთან. მაგრამ დამოუკიდებელ ცხოვრების სიყვარულმა ერთ მუჭა ხალხისაგან ისეთი გმირი შექმნა, რომ მთელი ქვეყნიერობა გააკვირვა. მთელ 2 1/2 წე-

ლიწადს კრიკაში უღდა დიდს ინგლისს. და ბურებმა მანამდე არ დაჰყარეს იარაღი, სანამ არ დაინახეს, რომ ინგლისელთა მიერ გამართულ „საკონცენტრაციო ბანაკებში“ მომწყვდეულ ქალებსა და ბავშვებს ბურებისას ერთიანად ამოეღებოდა მოელოდათ.

ევროპაში მაშინ ინგლისის საქციელს ყველა ჰგომობდა, ავახაყებს ეძახდნენ—პატარა ერს მოერია და სამშობლო უნდა წაართვასო. ინგლისელთა ძვირს უფრო ის სახელმწიფოები ამბობდნენ, რომელთაც აუარებელი კოლონიები ჰქონდათ შექმნილი იმავე ძალმომკრებით როგორც აფრიკასა, ისე სხვაგან. განსაკუთრებით გერმანეთი ჰყრიდა პირიდან ცეცხლსა და ვითომ თანაგრძობას უცხადებდა ინგლისელთა მსხვერპლ ბურებს. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა და ყველაზე უკეთესად თვით გერმანელებმა, რომ ამით ამ პატარა ერის დამოუკიდებლობის მოსპობა კი არ აწუხებდათ, რამედ ინგლისელების გაბატონება და გვერდით ძლიერ გერმანიის მოკალათება.

1902 წლის მაისში ზავი შეიკრა ინგლის-ბურებ შორის. ტრანსვალისა და ორანჯენს რესპუბლიკები ინგლისმა შემოიერთა. ორივე რესპუბლიკა ინგლისის სამეფოს კანონებს დაუმორჩილდა. ამას შემდეგ განვლო ოცხმა წელიწადმა და ინგლისელთა ბრძნულმა და შორსგამსჭვტვა პოლიტიკა-მ ის გზა აირჩია ბურებთან საშუალოდ შესარიგებლად, რა გზასაც უნდა დასდგომოდა სხვა ყველა მის ალაგას. მართალი იყო, რომ ხმლით დაიპყრა ინგლისმა ბურების რესპუბლიკები, დიდს მსხვერპლის შეწირვა დასჭირდა მათს დასამორჩილებლად. მაგრამ თვით ამ ომის დროსაც დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა კეთილშობილ მოპირდაპირესთან. გმირ ხალხთან, რომელმაც თავისუფლების მოსმარება და დამოუკიდებლობისათვის თავის დადება იცოდა. და აი, ინგლისმაც თავისუფლების მოყვარე ბურებს დაუბრუნა თავისუფლება თავიანთ შინაურ საქმეების მართვა-გამკეობისა, მიანიჭა სრული ავტონომია ინგლისის იმპერიის ჩარჩოებში. ხოლო თვით გენერალ ბოტას, მათს გუშინდელ სახელგანთქმულ მტერს და მოწინააღმდეგეს, მინისტრობა მისცა ახალ ავტონომიურ ქვეყანაში. ხალხიც დამშვიდდა, შეურჩედა თავის ახალ მდგომარეობას. მისმა ეკონომიურმა ცხოვრებამ კვლავ ფრთა გაშალა ახალ პოლიტიკურ რეჟიმის ფარგლებში.

ახლანდელი საერთაშორისო ომი რომ ატყდა, გერმანეთი, სხვათაშორის, შეეცადა ბურები აჯანყებინა ინგლისელების წინააღმდეგ. დაჰპირდა დახმარებას და წინანდელ დამოუკიდებლობის დაბრუნებას. ამ აზრით გადაიბირა თავის მხარეზე ბურების სახელგანთქმული გენერალი 67 წლის დევეტი, რომელმაც ბოტასთან ერთად ფრიად დიდი როლი ითამაშა ინგლის-ბურების ომის დროს. ამანაც შეადგინა ჯარი და გაილაშქრა ინგლისელების წინააღმდეგ. მაგრამ დევეტი და მისი მომხრეები მეტათ მცირენი იყვნენ რიცხვით. უმრავლესობამ ბურებისამ კარგათ იცოდა, თუ რა მუცლის გვრემა აწუხებდა გერმანეთს. გერმანელთა გულწრფელობა უფრო მაშინ დაფასეს, როცა ამათ უბოდიშოთ ბელგია ფეხქვეშ ამოიდეს, დაარღვიეს დიდ სახელმწიფოთა შორის დადებული პირობა; რომლის ძალით ბელგია ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო და თვით პირობის ქალაქი გერმანეთის კანცლერის პირით „ქედალდის ნახევად“ აღიარეს. დევეტის მოწინააღმდეგედ გამო-

ვიდა ერთ დროს მისი თანამებრძოლი და დღეს ინგლისის მთავრობის ერთგული ბოტა. ამან იკისრა მემობრებითა დამორჩილება. ეს საქმე ბოტამ ადვილათ შეასრულა და ამასთანავე, როგორც ზეგთა ვსტკვით, ინგლისს გერმანელთა სამხრეთ-აფრიკის ახალშენი შემოეერთა. მადლიერმა ინგლისმა ახალ შემოერთებულ ახალშენს ბოტას პატრიარქული ბოტალიანი (ბოტას ქვეყანა ანუ ბოტაეთი) დაარქვა და თვით ბოტას წინადადება მისცა—თვისის ჯარითურთ ევროპაში წაჰოვიდეს, რომ მხარში ამოუდგეს მოკავშირეთა, რომელთა გვერდით იბრძვიან ყველა ახალშენები ინგლისისა: კანადა, ინდოეთი, ავსტრალია და სხ.

ამ ნიშნით ინგლისმა თვისის ბრძნულის პოლიტიკის ნაყოფი აშკარათ მოიმკო და სხვასაც უჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა მოექცნენ სახალმენო პოლიტიკაში, თუ რა გზას უნდა დაადგნენ, თუ უნდათ ახალშენების მკვიდრთა გული მარლა მოიგონ. და ამ გულის მოგებას მკვიდრნი, საიმედო საფუძველი ჰქონდეს. დაინახვა ყველას: რომ ავტონომიის მინიჭება ახალშენების მკვიდრს საშუალოდ აკავშირებს მტკიცე კავშირითა მეტროპოლიასთან; რომ ავტონომია რომელისამე მის შეზღუდულ ნაწილისა, მეტროპოლიის კი არ ასუსტებს, პირიქით უფრო აძლიერებს და ურყეველ ჰყოფს; რომ ავტონომიის ქვეშე მყოფს თავისი ბედი მკვიდრობდაკავშირებული აქვს მეტროპოლიის ბედთან; რომ მეტროპოლიის გამარჯვება მისივე გამარჯვებაა, მეტროპოლიის დამარცხება—დასუსტება—მისივე დამარცხება—დასუსტება.

ახლა თვითი გადაავლეთ ინგლისელთა მოქმედებებზე—ფრანგების საკოლონიო პოლიტიკასაც. ომის გამოცხადებისთანავე აღარებელი ჯარი წამოიყვანა საფრანგეთმა თვის აფრიკა ახალშენებიდან. უმეტესმა წილმა თვისის სისხლით საფრანგეთი მიწა-წყალი შეგლემა, ვინც გადარჩა, დღესაც განაგრძობს ბრძოლას საფრანგეთის მტერთან. როგორც ვიცით, საფრანგეთის ცენტრალისტური რესპუბლიკა, ჯერ შორს ჩამოუტრია ინგლისის თვის კოლონიების მოწყობის საქმეში. იმ დროს როცა, ინგლისს თითქმის არ დარჩენია კოლონია, რომ ავტონომია არ მიენიჭებინა, საფრანგეთში ყველაფერი ცენტრს აქვს დაქვემდებარებული, თანაც ისე, რომ თუ ნამდვილს ფრანგს მოვალეობასთან ერთად უფლებაცა აქვს, რომ იმავე საფრანგეთის ქვეშევრდომს არაბს, სენეგალელს, კონგოელს, თუ ალაგირელს მოვალეობა კი აქვს ყოველისავე ფრანგისა, მაგრამ ყოველის მოქალაქის თვით ელემენტარულ უფლებასაც კი მოკლებული. მაგალითად, ალაგირელ მუშისათვის საფრანგეთის კანონი მუშათა დაზღვევისა მუშაობის დროს მომხდარ უბედურ შემთხვევისაგან არ არსებობს. სოფლის მცხოვრებთა უფლება არა აქვსთ თავიანთს სოფლისავე მართვა გამგეობის საქმეში მონაწილეობა მიიღონ. დღეს, როცა ამ ახალშენთა სისხლით ასე უხვად მოიწყო საფრანგეთის მიწა, მხოლდ დღეს ამოიდეს აქაურმა გაზეთებმა, და ისიც ერთმა და ორმა სოციალისტურმა გაზეთმა, ხმა საფრანგეთის ახალშენთა მკვიდრთა სასარგებლოდ. ძალიან გულმოდგინეთ ვადევნებთ თვალყურს ამ მხრივ ფრანგების პრესას. მაგრამ სიტყვა ავტონომია ვისმე გადაკვრივთაც არ უხსენებია. მხოლოდ ამბობენ, მათის ერთგულობის ჯილდოთ მოქალაქის საერთო უფლებანი მივანიჭოთო. მივანიჭოთ, მაგალითად, თავიანთის სოფლების მარ-

თვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლებათა, ან კიდევ—კანონი ერთგვარად უნდა მფარველობდეს როგორც ფრანგის მუშა-პროლეტარს, ისე ალაგირელს, გინა კაბილელსაო. ან და, მოგვსოთ ის განსაკუთრებული კანონმდებლობა, ადგილობრივთა (ახალშენების) მკვიდრთა განვითარების საქმეს რომ ჰპოროცავსო, მათს ნამდვილს წარმატებას ხელს რომ უშლისო.

საფრანგეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუტულ პრესას ეს პლატონური სურვილიც კი არ ემეტება ახალშენთათვის, თვით ამ საშინელ ომიანობის დროსაც კი თუმცა იგივე კონსტიტუტული პრესა დიდი მომხრეა იმისა, რომ ჩვენებს და სხვა დაზარულ ეროვნებებს ავსტრიაში ავტონომია მიენიჭოსთ, ავტონომიაც მიენიჭოსთ პოლონელთ და სხ.

თ. ხახოკია.

პარიზი, 25 (12) მკათათვე.

**† იასონ გელოვანის გარდაცვალება.**

12 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ქუთაისში გაროაცივლა ლეჩხუზის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. იასონ გელოვანი. განსვენებული 68 წლის კაცი იყო და უკანასკნელ 18 წლის განმავლობაში მის სამშობლო მაზრის თავად-აზნაურთა განუწყვეტლივ ირჩევდა მას თავის წინამძღოლად. მიუხედავად იმისა, რომ თავად იასონს უმაღლესი სისტემატიური განათლება არ ჰქონდა მიღებული, იგი ყველა ჩვენს საზოგადო დაწესებულებაში ღებულობდა მონაწილეობას და მისი თანამშრომლობა ყველგან გულწრფელი და ნაყოფიერი იყო. იგი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებშიაც ღებულობდა მონაწილეობას სასარგებლო და უტყუარი ცნობის მოწოდებით. იასონ გელოვანი იმ ძველ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელიც თავისი დარბაისლობით და გულწრფელობით ყველას ხიბლავს. იასონის შედეგ ჩვენში ბევრი აღარაინ რჩება მისი დროის იმავე ტიპის მოღვაწე.

**ახალი ამბავი**

**პატიმარის განთავისუფლება.** 12 აგვისტოს მეტეხის ციხიდან გამოუშვეს ჟურნალისტი ნოე რამიშვილი.

**ვაჟს გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილი.** ჩვენი სამშობლოს ძალით მოწყვეტილი, ნიენი-ნოვოგოროდის საკარტოლო ციხეში მყოფნი ქართველი კატორღელები გამოუთქმულ მუშახარებას ვუცხადებთ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენი ძვირფასი მეგობრის, მისი არწივად წოდებულის ვაჟ-ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილის) გარდაცვალების გამო... აქ, ამ ცოცხალთა საფლავშიც, ჩვენი მეგობრის-მწერლების ნაწარმოებით, ნაშრომ-ნაღვაწით ვსულდგმობთ და კიდევ ახალს მოგვლოდით მათგან, მაგრამ საუბედუროდ უღმობელმა სიკვდილმა თანდათან მიჰყო ხელი და გვტაცებს საუკეთესო ძველ მამა-აღმზრდელს.

ნიენი-ნოვოგოროდის საკატორლო ციხეში მყოფ ქართველ კატორღელების მონდობილობით პლ. კილასონია.

**ქალაქების მოურავთა კრება.** მოწვეული არიან კრებაზე დასასწრებლად, რომელიც თბილისში უნდა შესდგეს ამ ხანად, მოურავები იმ ქალაქებისა, რომელნიც კავკასიის ქალაქთა კავშირში შედიან წევრებად. კრებამ უნდა განიხილოს 2 თვის ხარჯთაღრიცხვა კავშირისა და აგრეთვე საკითხი გამოქცეულ სომხების შესახებ.

**მ. 6. კომისიის დაბრუნება.** მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებუ-ლი, პროფესორი მ. 6. კომისი, რომელიც თბილისიდან წასული იყო კავკასიის სხვა და სხვა ადგილის კავშირის დაწესებულებათა დასათვლიერებლად და გამოქცეულ სომხთა მდგომარეობის შესასწავლად, დღეს დაბრუნდება თბილისში.

**ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვს** დღეს, დღის 11 საათზე, მოვიდნენ თბილისში ჩვენი ქვეყნიდან ხატისოვი საექიმოდ იყო წასული სამი კვირის ვადით.

**კრება.** ხვალ, 15 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის წევრთა კრება უნდა შესდგეს; რომელსაც განსახილველი აქვს ფრიად საყურადღებო საკითხი, კომიტეტის მდივნის მიერ წამოყენებული, იმის შესახებ, რომ ვენახის პატრონებმა თანხმობით იმოქმედონ იმ შემთხვევებში, როცა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათაგან ბლომა ღვინის მოთხოვნა იქნება.

**მეფუტკრეობა.** ხაშურში (ზემო-ქართლი) შემდგარა ამაზრ-იმერის პირველი მეფუტკრეობის ამხანაგობა, რომელიც სიხვის ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ მეფუტკრეობის მცოდნე კაცი გამოგვიგზავნეთ, რომელიც პირველხანად ხელმძღვანელობა გამოუწევსო.

**სამეგრელო უქიმოდ.** სენაკის და ზუგდიდის მაზრებში საერთო ექიმი სულ ექვსი უნდა იყოს. მაგრამ უქიმობის გამო აქ მარტო ოთხი მუშაობდა. ეხლა ორი ექიმი მთავრობის განკარგულებით იგდირში გაიგზავნა სომეხ გამოქცეულთა დასახმარებლად და მთელი დამშუული ზუგდიდის მაზრა უქიმოდ დარჩა.

**სახალაოს დათვლილება.** გენერალ-მაიორის ე. ი. ბერნოვის განკარგულებით, სამხედრო-სანიტარულმა კომისიამ, ექ. ს. ს. ვირსალაძის თავმჯდომარეობით, დაათვლიერა ქალაქის სასაკლავო ნავთლულში. კომისიის შეხედულობით სასაკლავო სუფთად ყოფილა შენახული.

**მთავარი მილის გაფუჭება.** 12 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის წყალსადენის მთავარი მილი გასქდა ავსტრალია და თბილისის შუა. მტკვრის მარჯვენა მხარეს საღამოთი წყალი ნაკლებად იყო ქალაქში. მაშინვე შეუდგენ გახეთქილ მილის შეკეთებას და ღამის 9 საათზე უკვე გაკეთებული იყო.

**ხოლერა.** 13 აგვისტოს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით 1 კაცი; გარდაიცვალა 2 კაცი; საავადმყოფოში 13 აგვისტოს იმყოფებოდნენ: 60 ხოლერისანი და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი.

**გაღმძვინ სენი.** 13 აგვისტოს ქალაქის თავმჯდომარე იმყოფებოდნენ: ქუთაისში 32, ხუნავისი 2, საოფლიანი 14, მუცულაიანი 7 და შავი სახადიანი 23 კაცი.

**იხვ კავთის ვენახების შესახებ.** თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის უფროს სპეციალისტს, ბან ვ. ი. ვინიოვსკის, ანგარიში შეუდგინა ვენახების მდგომარეობის შესახებ კახეთში პირველ აგვისტომდე. ანგარიში ნაჩვენებია 29 სოფელი, მოყოლებული ველისციხიდან ახმეტამდე. სხენებული ანგარიში გულის-შემზარავ სურდა გვიშლის თვალს-წინ. გაზაფხულის დასაწყისში სპეციალისტები იმ აზრისა ყოფილან, რომ სხენებულ სოფლებში თითო დესტინა ვენახი მოიტანდა ასიდან ათას ვედრომდე ღვინოს, მაგრამ თანდათან ისე გაფუჭდა ვენახები, რომ, როგორც ბოლო დროს გამოიკვვა, ნავარაუდევ მოსავალს დააკლდება 60-99%, ე. ი. ნავარაუდევ ასი ვედროს ადგილის ვენახის პატრონი მიიღებს მხოლოდ ერთიდან ორ-მოდ ვედრომდე ღვინოს. მიზეზი ასეთი უნუფუშო მდგომარეობისა არის: გაზაფხულის რთვილი, გამუდმებული წვიმები გაზაფხულისა და ზაფხულის პირველ ნახევარში და ამის გამო გაძლიერებული ობი და ნაცარი, უქონლობა წამლისა (შაბამანი და გოგირდი) და ალაგ-ალაგ სეტყვა.

**სხვისი უფლების დარღვევა.** როგორც ვიცით, თბილისში არსებობს საბაღოსონო სკოლა, რომლის ეზო, ბაღი, პრაქტიკული სამეცადინო მიწები და სხ. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკუთრებად ითვლება, რომელმაც დააარსა და ინახავს ამ სკოლას. ეხლა მიუხედავად მდგომარეობისა და მიწის-მოქმედების მთავარგამგის რწმუნებულს კავკასიაში, ზემოხსენებულ საზოგადოების დაუკითხავად, საინახად თბილისის ქალაქის გამგეობის თხოვნისა, განკარგულმა მოუხდინა შესდგეს კომისია, რომელმაც საბაღოსონო სკოლის მამულიდან უნდა ჩამოიქრას 700 ოთხკუთხი საყენი მიწა, საცა საუკეთესო მცენარეობა გაშენებული, მუშტადის შესახვევის გასაგანიერებლად. კომისიაში, ბან რწმუნ-

ნების განკარგულებით, უნდა შევიდნენ წევრებად სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მოხელენი ბ-ნი მაკაროვი და ნახავეტოვი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების 1 წარმომადგენელი და სხ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ეს უცნაური ამბავი მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა მას კომისიის თავმჯდომარის, ბ-ნი მაკაროვის, უწყება მოუყვინძა იმის შესახებ, რომ საზოგადოების მხრივ წარმომადგენელი გამოგზავნეთ კომისიაში წევრად. რადგან ამ ზაფხულში საბჭოს წევრების შეკრება შეუძლებელია, საბჭოს პრეზიდიუმმა უპასუხა ბ-ნი მაკაროვს, რომ სამეურნეო საზოგადოება საბადასონო სკოლის მიერ სამფლობელო მამულს თავის საკუთრებად სთავსებს და ამის გამო არც პრეზიდიუმს და არც საბჭოს ამ მამულის არც ერთი ნაწილის დათმობა არ შეუძლიან სხვისთვის. თუ ამის შესახებ საზოგადოების წევრთა კრებულმა არ დართო ნება; ხოლო წევრთა საზოგადო კრება მოწყვეტულ იქნება თავის დროზე, როცა ამას შესაძლოდ დაინახავთო.

### მოდინა...

...ომის ქარბუქით დამფრთხალი ხალხი მობრძანდა... ომის ქარბუქით პოლონეთის ერთი ნახევარი მიწის ჯერ კიდევ შემოდგომაზე გამოქცეა გერმანელთა შემოსევას, თვით პირველ დღიდან, როდესაც კალივი დაანგრეს და კალივი ხომ ეს ის ქალაქი იყო, სიდიან პირველად გვევლინება „გამოქცეული“ შემდეგ თვითუფლ ქალაქის აღებიდან ტალღა ტალღაზე გვემატებოდა, მაგრამ მათ რიცხვი ათი ათასი, ასი ათასი და მილიონი როდ უყოფია. რაშია საქმე? საიდან მოდის ამოდენა ხალხი? საქმე ის არის, რომ მცხოვრებთა მეტი ნაწილი, რომელიც პოლონეთიდან რუსეთში გაემიგრეს, მართლა „გამოქცეულებიდან“ კი არ შესდგება, არ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით არ ესტყვიათ, არამედ იძულებით წამოსულებიან: მათ ნაბრძანები ჰქონდათ დაეტოვებინათ სამშობლო მიწა-წყალი და თავისთვის ეშველნათ, საითაც ქარი დაუბერავდა.

ამ დღეებში პოლონურ კომიტეტში, როდესაც სიტყვა „გამოქცეულები“ ჩამოვარდა, ერთმა წევრმა ითხოვა, „გამოქცეულებს“ ნულარ ახსენებთ, არამედ ილაპარაკეთ „უსახლკაროებზე“.

— მეც თითონ „უსახლკარი“ ვახლავარა,—სთქვა მან,—ვინაიდან მე არავის არ გამოგვკვეთავარ, არამედ იძულებული მყვეს სამშობლო მიმეტოვებინა...

მაგალითად, პოლონელ გლეხს სრულიად არ მსურდა ლუბლინის გუბერნიიდან სადმე შორს გადახვეწილიყო, როგორც იგი არსად გადახვეწილა შემოდგომაზე, როდესაც კალივი აიღეს, ანუ როდესაც პეტროკოვისა, კელიკის რაიონის გუბერნიები დაიპყრეს, მიუხედავად იმისა, რომ პოლონელი გლეხი საუკუნეთა ზიზით არის აღესილი და გერმანელები ჰირსავითა სთულს, მათ შემოსვლის დროს არსად გაქცეულა, იქვე რჩებოდა, სადმე იმალდებოდა და მშობელ მიწა-წყალს თავზე დასტრიალებდა. ასეთი თვისებებისა პოლონელი გლეხი: იგი ნებით არასოდეს მამულს არ დაატოვებს, მიწას დაეკრის და უქანსკელ წუთამდინ ასე იქნება, ვიდრე გერმანელი არ მოვა და სისხლს არ დაანთხევინებს...

თქმა არ უნდა, ლუბლინის გუბერნიის გლეხებიც არსად წაივლიდნენ, მაგრამ იგინი მთელი მართობით დაირკვეს. ლუბლინის გუბერნიის განკარგულებით მოხდა ეს, ამავე ზომებს იღებდნენ დანარჩენ გუბერნიებშიც, თუმცა საბოლოოდ აკრძალეს, ვინაიდან მიხედნენ, თუ ამ ზომების რა საშუალო შედეგები მოჰყვა. მართალია, დღესაც ბევრი თეორეტიული მომხრე ჰყავს ასეთ ზომებს, სამამულიშვილო მის მაგალითს უნდა მივბაძოთო, მაგრამ ეს ვერაფერი მაგალითია, იმ დროს ნაპოლეონის შემოსევა ვიწრო გზით მოჰყვა სმოლენსკის გასწვრივ, დღეს კი მტრის ტალღა ყოველმხრიდან გავსება. წარმოვიდგინოთ, რომ მთელი პოლონეთი გავმუდინადოთ, როგორც ლუბლინის გუბერნიისა. მაშინ ხომ რუსეთის მოხელეებმა 12 მილიონი პოლონელი ასაზრდოვეს, ახლა დავუმატოთ ბალტიის მხარე, ლიტვა, გალიცია და მაშინ სურათი შეიცვლება. ეკონომიურ თვალსაზრისით შეუძლებელია ამდენი ხალხის გამოკვება. შეუძლებელია მთელი ერი ოთახიდან ოთახში გადავიდეს, ნებისთ საკვებად ეწვიოს თუნდაც თავის ძმას, ასეთი ეკონომიურ

დამოკიდებულების დაკარგვა პოლიტიკურ დამოკიდებულების დაკარგვას უარესია. ეს, მართალია, პოლონეთის აღსასრული იქნებოდა—Piniis Poloniae! მაშინ პოლონეთის ავტონომიაც მხოლოდ ცალიერა სიტყვა იქნებოდა, მწარე ირონია პოლონელ ხალხისადმი, რომელიც უკვე ჯვარცმულია, ნაგვემ-ნაწამები და რუსეთის ფართო იალაღზე მიმობნეული. არცერთი სიციხის მისურნე ხალხი ნებით არ შურტივდება ასეთ ბედს. მისთვის გაცილებით უმჯობესი იქნება მტრის ათასი რისხვა გადაიტანოს, მკაცრი და შემზარავი ტანჯვა დათმინოს, ვიდრე ასეთ უმეგობროთ განაჩენზე ხელი მოაწეროს. და პოლონეთსა საზოგადოებამ სამართლიანი ფორმულები გააქვეყნონ თავიანი ყურანალ-ვაზეთებში: შეძლების დავიარად დარჩით, თუნდა ათასი უბედურობა, დამცირება, ბოროტება მოგელოდეთ შემოსულთაგანაო... გასულ წელს, როდესაც ლოში აიღეს, ერთი ნერვებ-აშლილი კალიშელი მიმობნობდა გერმანელთა შემოსევის ამბავს. ლოშის აღების შემდეგ ვეღარ დავშვებდებულვარ, ლიხს თვლები დაგებუქო, რომ თვალწინ წარმომიდგეს ერთი იგივე შემადრწუნებელი სურათი აწიოკებისა: უხარმაზარი ქალაქიდან გამობრძანდნენ თანხალი ხალხი, ჰყვირან, იხოკებიან... გზა-გზა ცვივიან, მაგრამ წამოხტებიან და კვლავ მობრძანდ... კვლავ ჰყვირიან შტარწუნებულნიო...

როდესაც წარმოვიდგენ ვადმოსახლებულთა ბედს, ხალხწინ მიდგება სხვაგვარი სურათი: ხალხი აქ კი არ გამოვრბის, არამედ მდუმარედ მოდის, თავიკიდული, კაეშნით მოკულ მუხუწვარე სახით, სასოწარკვეთილი სულით... ასე მოდის თავიკიდული სდნებიან ხმის ამოუღებელი, განაგრძობენ გზას და გულში იმარხვენ შვილთა ტანჯვას, შიმშილ-წყურვილით და დაქანცულობით დაცვენულ ცოლ-შვილის ჯავრს... ასე მოდიან 15 ვერს დღეში. უკვე შემოდგომა იქნება, როდესაც ისინი რუსეთის შიდა გუბერნიებს მოაღწევენ... დაპქროლავს შემდგომის ქარი და ახლა ის თავისი მხრით განაბნებს ამ ნარჩენი და შორს სივრცეში გადაჰკარავს მათს გულს სიღრმიდან აღმობნადარ კენჭისა...

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რუსის ხალხი შეინძნის ამ კენჭსას და ყოველისფერს იღონებს, რომ შემდეგში მაინც გამოასწორონ ეს შეცდომა.

თუ ვერც ამ სტრიქონებს, არა იმიტომ, რომ ყურად იღონ ამ უბედურთა ტანჯვა,—არა, ამ მხრივ უამისოდაც შემდგარია კომიტეტი და იგი შესაფერს ზომებსაც იღებს,—მე მსურდა მხოლოდ გამოემრკვია ეს საკითხი. მაინცა და მაინც რად მოდის ეს ხალხი? (რ. ვ.)

### პირობა პავსანიაში

„პირველი ვედომოსტი“ ვრცელ წერილს უძღვნის კავკასიაში ერობის გამო აღძრულ საკითხს: კავკასიაში საერობო თვითმართებლობის შემოღების აუცილებელი საჭიროება ადგილობრივ მშობელ მცხოვრებელს გულისხმობს იპყრობს განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა და პოლიტიკურ მიმართულებისა.

ერობის აფურჩებდნენ და მიხელებით თავიანთ დახვეწებულ განცხადებებში ნააღმდებებოდნენ მის შემოღებას, რადგან მათ ეძინებოდათ თვითმართობის ბატონ-პატრონობაზე ხელი აეღოთ; უკეთეს კავკასიის კულტურულსა და ეკონომიურის მხრით გავსინჯავთ ამ ჯამად იგი იმ დონეზე დაბლა არა სდგას, რა დონეზედაც ვიატკისა და თავრიდის გუბერნიები იდგა 1866—1867 წელს, როდესაც ამ გუბერნიებს ერობის შემოღების უფლებები მიენიჭა კავკასიის საზოგადო მოღვაწეებმა შესამოცე წლებში აღძრეს საკითხი ერობის შემოსაღებად, ხოლო კავკასიაში უმაღლესმა მთავრობამ ეს საჭიროება 1905 წელს ცხადად აღიარა ამ რეფორმის მოხდენა. ორის წლის შემდეგ უკვე შევრდომლეს მოხსენებაში გრაფი ი. ი. ვორონიცოვ-შვილი ახსნას იძულებულია და განავითარება თავის აზრს, რომ კავკასიაში ერობის თვითმართებლობის საკითხი მოწიფებულია და ცირკულიარში განმარტდება, რომ ეს ერობათა დაწესებულებანი სხვა და სხვა კუთხეში ადგილობრივ პირობებს უნდა ეთვისებოდესო უმაღლეს ბრძანებისამებრ მეფის მოადგილის მოხსენება განხილულ იქმნა მინისტრთა საბჭოს მიერ და დასკვნა ორგავი ერობის შემოღება (პირველი ვერის ერობა: სოფლის ერთეული, სადაც ყველა წოდება იღებს მონაწილეობას და მეორე: საგუბერნიო და სამაზრო ერობა) ხოლო ამასთანავე

გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ ეს საკითხი ადგილობრივ უნდა დამთარდეს, რომ უფრო ადგილობრივ მცხოვრებელ შეეფერებოდესო.

ეს საკითხი კავკასიის ყველა გუბერნიებში საზოგადო მოღვაწეებმა განიხილა ყველა დანარჩენი საკითხი ერობისა და დასკვნაც გამოიტანეს ერობის სასურველ ტიპის შემოსაღებად. ამის განხილვა იღიანს გრძელდებოდა და ამ კუთხის კულტურულად განვითარებასთან ერთად იზრდებოდა. უკანასკნელ სამი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 6.710,014 მანეთი იყო. ცხადია, ასეთ ჯამდინ საქმეს აღმინისტრაცია ვერ გაუძღვებოდა ამ უმეგობელ კუთხეში რომ ერობის უქონლობით უწყსობა ხდებოდა, ეს უკვე შეიგნეს და შესამე სახელმწიფო სათათბირომ 1909 წ. მიიღო დებულება ერობის შემოსაღებად, ხოლო მეორეხ სათათბირომ, როდესაც კავკასიაში მოუსავლობის და შიამილის-საკითხს იჩილავდნენ, გამოსთქვა ის აზრი, რომ კავკასიაში უსაჭიროეს და დაუყოვნებელ მოთხოვნას შეადგენს ერობის შემოღებო.

მაგრამ რამდენადაც ამ რეფორმის განხორციელება საჭიროესად ხდებოდა, იმდენად მთავრობის მართებლობა ამ საქმეს აგვიანებდა და რეფორმის პროექტს ყუთში ინახავდა.

კავკასიაში ერობა ჯერაც არ არის შემოღებული, მიუხედავად იმისა, რომ ერობა ერთად ერთი იარაღი იყო რუსეთის ამ მიდრეკ კუთხის რუსეთთან დასაკავშირებლად, რათა შექმნილიყო ცხობიერების საერთო პირობანი არა აღმინისტრატულ წესების გაერთიანებებით, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკით.

მეორეც, ამ ერობის ირგვლივ შეერთებოდნენ განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა საუკეთესო ადგილობრივი ძალები და მოსპობდა ერთა შორის იმ განცალკევებას, რომელიც დღეს ეროვნულ შუღლს ჰბადებს.

ამ ერთი წლის ომმა დაგვიტკიცა, თუ რა დიდი შეცდომა მოუვიდა მთავრობას ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებლობით. ამ ომიანობის დროს, როდესაც საჭირო იყო ორგანიზაცია და ადგილობრივ ყველა ძალების შეერთება დაქირაულ-დასწრებულ ჯარისკაცთა მისაყვლად და ჯარისათვის ყოველნაირ დახმარების აღმოსაჩენად, მთელი ეს მხარე მთლად მოუშვალბებელი აღმოჩნდა და თავის უორგანიზაციობის გამო ვერავითარი შემოსუბებუა ვერ მიანიჭა ჯარის მდგომარეობას.

რაკი ეხლა მთელი რუსეთი ხანგრძლივ ომიანობის ემზადება, ამიტომ რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქმნას შემოღებულ იმავრ კავკასიაში ერობათა დაწესებანი, რომ ეტლავე მოეწყოს ადგილობრივ ძალთა ორგანიზაცია. აქ უნდა იქმნას შემოღებული იმ სახის ერობა, რომელიც არსებობს რუსეთის გუბერნიებში; მხოლოდ ცვლილება უნდა იყოს შეტანილი ადგილობრივად არსებულ ეროვნულ, სარწმუნოებრივ და კულტურულ სხვა გვარობის მიხედვით. საჭიროა ყველა ერობამ მიიღონ მონაწილეობა თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპების მიხედვით, უმცირესთა ინტერესები, რასაკვირველია, დაკული უნდა იქმნას. სამამული ცენში უნდა შემცირებული იყოს, ხოლო ქრისტიანენი და მამადაიანი უნდა გათანასწორებულნი იქმნენ უფლებათაში.

### კაიის ხოვავი

კვირას, ორ მარამობისთვის, ქ. ვორიდან ვაგემზავრეთ ძამის ხეობისკენ წმ. ნიკოლოზის ვანტქმელი ტაძრის სანახავად. ჯერ რკინის გზით ქარელში ავიდით, აქედან გზად შვირეთი კეის-ჯვარში. სოფელი დაცალიერებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ერთს კალოსთან შევხვდეთ: „როგორია მოსავალი წრეულს?“—შეგვითხებთ მისალმების შემდეგ კალოზე მდგარს თავიქინდრულს გლეხს. მან კალოზე მდგარ ძნის კონიდან ერთი ბლუჯა გამოიღო, თავთავს ხელი მოუქიო, მერე მოაფშვინტა, ხელში მხოლოდ დადგენილი თავთავის ღერო შერჩა—ჩვენს ქველ გამოაშვირა ცარიელი ხელი და თან მწარედ დააყოლა: „იი ასეთია წრე-ვანდელი მოსავალი“. ჩვენც დავგალო-ნა გლეხის ნაღვლიანმა პასუხმა. მისი მკმუნებარება თითქოს აჩრდილად აგვედგენა, როცა ვაგემორდით მის კალოსა. აქედან ორი ვერის სიწორეზე მივედით სოფ. კრობანში. კრობანი დასახლებულია ოსებით, სულ 20-მდე კომლია და ისიც ოთხ უბნად გაყოფილი. აქ ცო-

ტა შევიყვინეთ, დავნაყრდით და შეუდგით სოფ. ყინციის თავზე ტაძრისკენ მიმავალი აღმართ გზას. სოფ. ყინციისი ორი ვერისი არის დაშორებული კრობანს და მისი მოსახლეები, რომელთა რიცხვიც 50 კომლიამდე იქნება, გაშლილან მთის ფერდობზე. ტაძრისკენ მიმავალი გზა უფლის ყინციის თავზე საიდანაც ხელის გულივით მოსჩანს ძამის ხეობა ორივე მხრით გაშლილ სოფლებით, ბალ-ვენახებით და სახნავ-სათეს ღამაზ მინდვრებით ვარს შემორტყმული. მდინარე ძამა კი პატარა-პატარა რუბებდ გაშლია.

ყინციისიდან მონასტრისკენ აღმოსავლეთით ვიბრუნეთ პირი. მალე წინ მაგალითა ყოინა შემოგვესმა: „გამოჩნდა, მოსჩანს, უ-უ-უ-ო“. ჩვენც ფეხს ავუქა-რეთ. მართლაც მალე მთის მწვერწარზე დავინახეთ ამაყად აღმართული ნაშთი ქართველთა ღიღებისა, რომელიც ანდა-მატივით იზიდავდა ჩვენს გულს.

ჩრდილოეთით ტაძრის ეზოში შეჰყე-ხართ ალაყაფს, რომელიც თლილი კლდითაა ნაშენი და თაღ-გადაყვანილი. მთელი მიდამო ტაძრისა სწორს, კალოს მსგავს რგვალს ხაზს წარმოადგენს, რომლის დიამეტრიც 30 საყენს აღემატება. ბალახით ამწვანებულ ეზოს ამშვენებს ღიღირანი კაკლის ხეები და ცაცხვები...

მთავარს ტაძარს წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებულს ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით მიდგმული აქვს სამი პატარა ეკლესია, რომელთა ზოგიერთა კედლები ჩამონგრეულან. მთლად დაცულია მხოლოდ დასავლეთით მოდგმული ეკლესია. დასავლეთით აგრედვე გალაგნის კედლებში ჩაყოლილია კიდევ ერთი მოზრდილი ეკლესია, რომელიც აშენებულია ღვთისმშობლის სახელზე. ეს ეკლესია ნახევრად დაზარეულია, მაგრამ ხელოვნური გასაოცარი მხატვრობა ზოგი დაცულია, ზოგიც უკულმა დროთა ტრაგიაში წარეცლია.

ტაძარი აშენებულია აგურით, რომლის სიგრძე-სიგანეც ხუთ ვერსივს აღემატება, მხოლოდ სისქე ერთს ვერსივს და ათასნაირ სახის სხვა და სხვა სიდიდის თლილი ქვით. სიგრძე ტაძრისა 8 საყენამდე იქნება, სიგანე 5. ტაძრის დასავლეთ ნაწილის საყენ ნახევრის სიგრძე წარმოადგენს ორს სართულს. ძირის სართულს დერეფანი ჰყოფს ორ თანასწორ ოთახად. სამხრეთით ოთახის კედლები მთლად დახატულია, მხოლოდ ჩრდილოეთის სუფთად გალესილი. შევითა სართული ერთიან მოგრო ოთახს წარმოადგენს, რომლის აღმოსავლეთ კედლიდან კანკელის შუა კარების პირდაპირ გასავალია კედლის ავიანზე, რომლის სიგანე არაშინს ცოტა აღემატება. ორნაირი აზრი ტრიალებს ხალხში ამ აიგნის შესახებ ერთი—ვითომც ბერები იღვნენ და გალაზდნენ ხოლმეო, ხოლო მეორე—დიდებულინ ბრძანებოდნენ ლოკვის დროსაო. ჩრდილოეთით კედლის ძირს ორი ქვეტირის საფლავია. ერთი ცარიელია, მეორე ქვითა და აგურით აფსებულა. თქმულებას, ვითომც ამ საფლავებში ებოვნოთ აღმამანის ჩონჩხი და კარგად დაცული ოქრო-მკვდელ ნაჭერი სამოსი.

კანკელის ორივე მხარეს ოთახებია. სამხრეთის ოთახიდან ტაძრის აღმოსავლეთ კედელში დაყოლილია გუმბათში მიმავალი ხერელი. აგურის კიბეს მიჰყე-ხნართ მალა, მერე ერთი უხვევს დასავლეთისკენ და ადის უმუბათის შიგნით, მეორე კი ძირს მიდის და ჩადის ჩრდილოეთის ოთახში, რომელიც შუა კედლით გაყოფილია ორად. ამ პატარა ოთახს კარები არა აქვს და განათებულია პატარა საკრძელო, რომელიც დაყოლილია აღმოსავლეთ კედელში. გუმბათის თავიდან ტაძრის იატაკამდე 10 საყენის სიმაღლე იქნება. გუმბათის ძირს ოთხ ხელოვნურად გაკეთებულ თაღ-გადავლებულ კუთხეებში დახატულნი არიან ოთხი მახარობელი. საკურთხევლის ირგვლივ კედლებზე ხატები თორმეტნი მამანი კაბადოკიელნი, ზემოდ ცახვ ღვთისმშობლის ხატია სხვათა წმიდათა ვარს-შემორტყმული. კანკელი თლილი ქვის სვეტებითაა შემკული. ტრაპეზს წარმოადგენს თლილი სამი ვერსიკის სისქის, ორი არშინის სიგრძის და ერთი არშინის სიგანის კლდის ფიკარი, რომელიც ძვეს ოთხ რგვალ კლდის სვეტზე-განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თამარ მეფის და ლაშა გიორგის სურათები, რომელნიც მწკრივად დახატულნი არიან ჩრდილოეთით კედელზე.

თამარისა და გიორგის ბრწყინვალის სურათები კარგადაა დაცული, მხოლოდ ლაშა გიორგის სახე წაშლილია და ძნელად საცნობარია. სამხრეთით კედლისა და სვეტ შუა ხმაღ ამოწვდენილი წმი-

დანია დაბატული, ჩვენივესი მიხილსარდალს უწოდებენ. ვარკებასა და აღტაცებარს უწოდებენ. სამხრეთით მოდებულ პატარა ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩაყოლილს ლამაზს ჩუქურთმებთან კლდეებს.

გვიღამდებოდა და ჩვენც ძალა-უნებურად ვაგემორდით იმ წმიდა ადგილს.

ქები-ჯვართან ძალიან დავვიღამდა, თანაც გზები ძალზედ ატალახებულიყო. ვაჭირებთაში ჩაეცვიდით, მაგრამ მსხნელად მოგვევლინა ქართველის უხვი გული. ნიკოლოზ იოსების ძე ყობრესაშვილის ოჯახმა ღამის სათვეი ბინა მოგვცა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგასხებოდა, მხოლოდ ერთს ვურჩევთ დიასახლისს პატრიკეულს ალექსანდრა გრიგოლის ასულს ყობრესაშვილისას: „ბავშვის შეშინება თუ უნდა „ბაბაიავა“—„ბაბაიავა მოვიდას“—ს მაგიერ ისევ ქართული—„ბუფი, ბუა მოვიდა“ სჯობია და თუ ორივეს გადაადგებს უფრო კარგი იქნება. მეორე დილას, რვა საათზე უკვე გარბნი ვიყავით და უხუნეს ნასიამოვნებით წარსულ შთაბეჭდილებით ერთმანეთს პირობას ვაძლედიეთ კვლავ ვწვევოლით წმ. ნიკოლოზის მონასტრის. ჯერ კი თუ მოვახერხებთ უნდა დავათვალიეროთ კვათახვის მონასტერი და დანახვისის ეკლესია.

### ურბნელი ვახო.

### კოვნოს ალვა

დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ქ. კოვნოს ტყეისა და ყუმბარების საშინელმა ქარიშხალმა დაჰვერა. ციხის პირველი სიმაგრე უკვე გერმანელებს აეღოთ. ჯერ კიდევ თერთმეტ სიმაგრე მკვიდრად იდგა და მტერს ემუქრებოდა. პირველ ავეისტოს სიწყნარე იყო. დილიდან საიამომდე ამ დღეს გერმანელებს ორმოცდათარ სანტიმეტრიაინი ზარბახნები ვადმოჰქონდათ. კარგა შებინდებული იყო, რომ გერმანელებმა ციხეს საშინელი და ხარის დამცემი სროლა აუტყეს. დანგრეულმა მოწინავე სიმაგრემ უმალ ხმა ჩაქმინდა, თითქოს უსულო ვაგამდ გარდაიქცა. ამ გერმანელებს გერმანელებს საშუალება მისცა თვით ციხეს მოაზოვებოდნენ, რომლის კედელთა შუა მდინარე ნემანის სიღრმეზე ქალაქია გაშენებული.

ყუმბარები პირველად იმ ქალაქის ნაწილში ცვიდებოდა, სადაც აღმართულია დიდი შენობა, ძველ დროს იმწმე ძველი, როდესაც ნაპოლეონი 1812 წელს ივლისს ნემანზე ვადმოვიდა, მან ერთი ღამე ამ შენობაში დაჰყო. აქვეა ერთი გორაკი, რომელსაც ნაპოლეონის მთას ეძახიან. იგი ამ მალეობიდან თავის ჯარს ადევნებდა თვალყურს, ხოლო თვით გერმანელები ადევნებენ თვალყურს, თუ ნემანის მეორე მხარეს როგორ გადააქვთ 62 ფუთიანი ყუმბარები. ზოგიერთ ალაგას ფიკრულ სახლებს ცეცხლი მოეღო, მაგრამ ცეცხლის შემორბელი რაზმი ცეცხლს მსწრაფლ აქრობდა.

მეცხრე სიმაგრემ მოწინააღმდეგეს პასუხი გასცა და ქალაქზე ჯვარედინად და იკობაკლოდ ცეცხლის ალმა სრიალი იწყო. პაერში საზარელი გრაიონი იმყოფა. დედამიწა ზანზარება. ქალაქი ზარბახნების ალისაგან ვანათებული იყო. მოწინააღმდეგე თანდათან ახლოვდებოდა. მეორე ხანიც და ნიაღვარივით წამოვიდა გერმანელი ლაშქარი. ვამართა ხელჩართული ბრძოლა. ისმოდა საშინელი კივილი. ამ ჯამად სიმაგრე კვლავ უმაგრდებოდა მოწინააღმდეგეს. მეორე ღამე უფრო საშინელი იყო. მთელს ქალაქში წვიმასავით ცვიდა ყუმბარები. როგორც ეტყობა, მოწინააღმდეგეს სადაც სიმაგრე ვაერღვია. 62 ფუთიანი ყუმბარები ანგრედა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო შენობებს. სამს ავეისტოს ბრძოლა უფრო ვაცხარდა. მტრის ყუმბარამ „ლურჯი ხიდი“ აფეთქა. ქალაქის ხსნა აღიარა გზით არ შეიძლებოდა. რუსის ჯარი ამ დროს ნემანის მეორე მხარეს ვადმოდიოდა. ყუმბარები მშვიდობიან მცხოვრებთ ანადგურებდა. დინარა რამდენიმე შენობა, სადაც ლაზარეთები იყო მოთავსებული. საშინელ ცეცხლის გამო, სანიტარები დაქროლებს ახლო ვერ ეკარებოდნენ. 4 ავეისტოს დილით გერმანელების მოწინავე რაზმი ქალაქში შემოვიდა. დაათვალიერა ქუჩები და დასოკოლთა გვამი.

ქალაქი დაჰნება, მაგრამ რვა სიმაგრე ჯერ კიდევ მიუხრუბულია, რომელიც შურს იძიებს.

ჩვენი სმოკრება

ფარული ხაზურიდან.

დ. ხაზურს მეტად კარგი მდებარეობა აქვს, ჰაერი ნელი და სლია, წყალი საუცხოოა. ამის გარეშე მდებარეობს საუკეთესო სააგარაკო ალაგები: ბორჯომი, სურამი, ქვეშეთი და სხვა; ეს ყველაფერი კარგს მომავალს პირდება ხაზურს, თუ კი აქაური ინტელიგენცია მეტს უნარსა და შრომის მოყვარეობას გამოიჩინოს.

ხაზურში არსებობს საეკო გინაზია, დღეათა პროვინაზია, ორი ორკლასიანი სასწავლებელი, სამრევლო სკოლა და ქალთა საპროფესიო სკოლა, აგრეთვე არის საზოგადო სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა, დრამატული წრე, აღძრულია თხოვნა წერა-კითხვის სიზოგადობის წინაშე განყოფილების გასახსნელად. ახლო მომავალში კიდევ იხსნება კოოპერატიული დუქანი.

კოოპერაციის შესახებ პირველი კრება მოხდა კვირას—9 აგვისტოს, დაესწრო ორასამდე კაცი და მათ შორის მრავალი ინტელიგენცია.

კოოპერაციის კრებამ ბევრი თათბირის შემდეგ გადასწყვიტა: ჯერ-ჯერობით გახსნას მხოლოდ პირველმოთხოვნის საგნების საწყობი, მაგალითად ფქვილის, მარილისა და სხვა.

თითო პაი ღირს ექვსი მანეთი, გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად და ერთ თათ. წევრებად ჩაწერებად 99 კაცი, მაგრამ იმედი გვაქვს ეს რიცხვი კიდევ გაიზარდება. თუ გამოვება ეცდება დააინტერესოს მასს; სხვათა შორის ამისთვის საჭიროა, რომ წევრებს მიეცეს უპირატესობა ყიდვის დროს იაფობაში.

გამგებობაში ამოირჩიეს: ინჟინერი ძნე-ლაძე, გინაზიის მასწავლებელი იმნაიშვილი, რკინისგზის მსახურნი: კორძაია, გვარამაძე და კიკნაძე; მათ კანდიდატებათ: კლდიაშვილი, მერტველი და თევდორაძე. სარევიზიო საბჭოს წევრებად: ყანაგვილი და ჯუღელი.

ეს ის პირებია, რომელნიც, ვიმედოვნებთ, გამოიჩინენ საკმარის უნარს, გულწრფელობას და სამაგალითოდ გაიჩაღებენ საქმეს.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ვერ ვხედავთ გამოვებაში აგრონომს კარბელაშვილს; ამ კაცს, როგორც აგრონომს, შესწავლილი აქვს კოოპერაცია უმაღლეს სასწავლებელში და იქნებოდა საუკეთესო ხელმძღვანელი ჯერ კიდევ გამოუცდელი გამოვებისა.

უსურვოთ, ინტელიგენციას ენერგია და ფხა არ მოკლებოდეთ არასოდეს. ნეტავ-ლა აგრე, რომ მეორე ჯურის ინტელიგენციას, სახელდობრ მასწავლებელთა მრავალრიცხოვან გუნდს ბანჭის თამაშისთვის დაენებებინოს თავი და ესენიც ამოქმედდნენ. ამ მხრივ დიდს იმედებს ამყარებენ ბ-ნ ა. მდივან-ზე, ის ვასწმენდს ამ დობებულს ატმოსფეროსაო. ჩვენც ვიმედოვნებთ. ვნახოთ. გ. ძინიბაძე.

სოფ. ღირბი. ეს სოფელი მდებარეობს გორის მაზრაში, მდინარე ფონის მარჯვენა მხარეზე ადგილზე და შეიცავს სამასზე მეტ კომლს, რომელთა რიცხვიც ორ-მესამედზე მეტი ქართველობაა. სოფელს ირგვლივ არტყია მდიდარი და ნოყიერი სახანა-სათესი ადგილი, რომელიც თითქმის ყოველწლივ მუშავდება და იზიარათა მოსავლის მოცდენა. წარუღს პურის მოსავალი საშუალოა, „ფხად-კი“, როგორც გლეხები იტყვიან, კარგად არის. მხოლოდ მუშა ხელის სიმცირე და სიმძვირე აჭირებს საქმეს და აფერხებს ყოველივე მუშაობას. მუშა ხელის ფასი ეხლა ერთ-ორად მეტია ომის წინა დროსთან შედარებით. რაც შეეხება ხილის მოსავალს, იგი მცირეა, ან სწორე რომ ვთქვათ სრულებით არ არის.

სოფ. ღირბში კულტურულ დაწესებულებათაგან არსებობს ერთი კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და წერილი კრედიტი. უკანასკნელს ჰყავს ხუთასამდის წევრი, რომელთა რიცხვიც არიან გარდა ღირბის მცხოვრებლებისა, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების გლეხებიც, როგორც მაგალითად სოფ. ბრეთისა, სალომუნისა და სხვ. საჭიროა ეხლანდელმა გამოვებამ თვის წინა-მყოფე დიდ უნარს გამოიჩინოს და ამ ფრიალსასარგებლო საქმის განვითარებას და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ხელი შეუწყოს.

ერთი დიდი ნაკლი ამ სოფლისა ის

არის, რომ სასმელი წყალი შორს აქვთ და მისი ზიდვა ძალიან დიდ ჯაფას წარმოადგენს. ახრათ ჰქონიან მახლობელ წყაროს გამოყენება, მაგრამ არ ვიცი საქმე რათ შეფერხებულია; კარგი იქნება თუ ის პირები, რომელთაც ამ სოფლისთვის გული შესტივიათ, როგორმე ითავებენ და წყაროს გამოყენებულს სოფელს.

ამასთანავე არ შემძლიან არ მოვიხსენიო, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ის პირნი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქარელის ხიდისათვის საქმე-რო თანხის გადაღებას; ეს ხიდი ფრად დიდ საჭიროებას წარმოადგენს მთელ ამ მხარისათვის და მცხოვრებნიც მადლიერნი არიან ამ საქმის ხელის შეწყობათა.

ხიხი.

დეკაშები

ვლადიმასტოკი, 11 აგვისტო. შარშან გერმანელთა კრისერ „ემდენ“-ის მიერ დაღუპულ რუსეთის კრისერ „ემდენ“-ის კომანდირი ბარონი ჩერკასოვი და გემის უფროსი ოფიცერი ლეიტენანტი კულობინი გასამართლდა სამხედრო-საზღვაო სასამართლომ და პირველს მათგანს მოუსაჯა 3 1/2 წლით დაპატიმრება, ხოლო მეორეს—1 1/2 წლით. ამასთანავე ორივეს აპყარეს ყოველივე უფლება.

პეტროპოლი, 11 აგვისტო. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როდიანო ვაგუზაერა „ცარსკოე სელო“-ში ხელმწიფე იმპერატორთან. როდიანო დიდს მოწყალებით იქნა მიღებული. ხელმწიფესთან საუბარში გასტანა 1 1/2 საათი.

ბაიბაი, 11 აგვ. რუსეთ-ინგლისის მოწინააღმდეგენი დიდის ენერგითა სცდილობენ ავლანისტანის და ბელუჯისტანის აღდგენა-ამხედრებას; ისინი ჰგზავნიან ამ ქვეყნებში მამაკადიან ავტორიტებს და შეაქვთ ქარავნებით აუარებელი იარაღი და ტყვია-წამალი. ამიტომ რუსის ჯარებმა გადალაბა ბირდშანტიდან ავლანისტანის საზღვარი და გაეშურა სამხრეთით ინგლისელ ჯარებთან შესატრებლად, რომლებმაც თავის მხრით ბერუჯისტანი გადმოიხსეს. სპარსეთს ჩამოაკლეს საზღვრით მისი აღმოსავლეთ-სამხრეთი ადგილები, რომელიც ესაზღვრებოდა ავლანისტანსა და ბელუჯისტანს.

პეკინი, 11 აგვისტო. ავსტრიელ მეხელაურებმა „პოგრომი“ (დარბევა) მოახდინეს ადგილობრივ ინგლისურ კონომოტორაფში, ჰეიქრობენ, ეს ამბავი გერმანელთა პროვოკაციით მოხდა.

ბოკო, 11 აგვისტო. იაპონია სამხედრო ტელეგრაფის მოხსნას შეუდგა მანდუანში, გაჰყავს აგრეთვე ყველა ჯარი ცინდოდან, რკინის გზის დამცველ რაზმის გარდა.

პარიზი, 10 აგვისტო. გაზეთები სიხარულით ეგებებიან რუსის ფლოტის გამარჯვებას რიგის ყურეში.

ატიენა, 11 აგვისტო. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების მიხედვით გერმანელი და ოსმალნი დიდად არიან დაფიქრებულნი იმ მდგომარეობით, რომელიც გალიპოლის ნახევარ კუნძულზე შეიქმნა: მოწინააღმდეგეთა ახალს გადმოსხმულ ჯარს ნამეტანი სუსტი წინააღმდეგობა გაუწია ოსმალეთის ჯარმა. სარწმუნო ცნობების მიხედვით სირიაში გერმანელი მექანიკოსები ზარბაზნებით აიარაღებენ ორს წყალქვეშას.

ლონდონი, 10 აგვისტო. დაიღობა ინგლისის გემი „ადამილ“-ი. ხალხი ყოველდღე იმეორებენ.

სტოკჰოლმი, 11 აგვისტო. „ლოკალ-ანკვიერ“-ის ცნობით ბულგარ-ოსმალეთის შეთანხმების ხმები სინამდვილეს არ ეთანხმება, თუმცა ყოველ მხრით ეტყობა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ეს შეთანხმება უეჭველად მოხდება.

პარიზი, 12 აგვ. ოფიციალი. არტუაში, არასის ჩრდილოეთით, ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. მთელი დღის განმავლობაში ხელსასრულ ყუმბარებით ებრძოდნენ ერთმანეთს ასეთივე ბრძოლა-სუშენიერის გარეშე. რუალისინის რაიონში განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლა. შამანსა და არგონეში ბრძოლის დროს ხმარობდნენ როგორც ხელით სასროლ ყუმბარებს, ისე საგრების ასაფეთქებელ ნივთიერებას. ფრანგმა მფრინავმა ლამით ლორსსში ყუმბარები ჩამოყარა.

დარდანელში 5 დღის განმავლობაში

ინგლისელთა მარცხნა ფრთამ 800-ს მეტად მეტად წაიწია. სამხრეთ-ზონაში საარტილერიო სროლა. 7 აგვ. ფრანგებმა მოახერხეს ჯარის გადასმა იკბამ-ლინში, ნავისის ჩრდილოეთით, თუმცა ოსმალთა ბატარეებმა საშინელი საარტილერიო ცეცხლით სცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათთვის. ფრანგმა მფრინავებმა ჩასდირა ოსმალთა დიდი ტრანსპორტი.

სტოკჰოლმი, 11 აგვ. გერმანიის პრესის საინჟინერო კავშირმა საგანგებო სხდომა გამართა. კანკლერმა მიმართა კავშირს და ამ მიმართავში დიდის ქებით მოიხსენია გერმანიის პრესის საქციელი ამ ომის დროს. კავშირმა რეზოლუცია გამოიტანა, სადაც გამოთქმულია სურვილი რომ უკუხეთში, სადაც კი არსებობს გერმანიის სადიპლომატიო წარმომადგენლობა, ამ წარმომადგენლობასთან გერმანიის ბეჭდვითა სიტყვამ გაიჩინოს თავისი საგანგებო ატაშეები.

რიესტრავში კამათის დროს ვიცე-კანკლერმა დელბრუკმა განაცხადა, გერმანიის დიდ გასაჭირს ვანიცდის თავის განოსაკეების წხრივ. განსაკუთრებით საგრძობელია რისი ნაკლებობა, რომელიც დღით-დღე უფრო თვალსაჩინო ხდება. ამიტომაც საჭიროა, განაცხადა ვიცე-კანკლერმა, შეგვირდეს რისი მოხმარება, რომ ბავშვები და ავადმყოფები უზრუნველ-ყყოთ.

გერმანიისა და ავსტრიის პრესა მუდამ წერილობით ბეჭდვას იტალიის, ამ ინგლისის ვასლისა და მოჯამაგირის მიერ ოსმალეთისადმი ომის გამოცხადების გამო.

ბულონი, 11 აგვ. ჩასდირეს „კომანდერი ბოლი“-ი ეკიპაჟიდან ცხრა კაცი გადაარჩინეს, ხოლო სამი დაიღუპა.

ატიენა, 11 აგვ. გუშინ, ფიცის მიღების შემდეგ, მინისტრებმა თათბირი იქონიეს პოლიტიკური მდგომარეობის თემად. ვენეციელს შეაქვს პარლამენტში კანონ-პროექტი სასხედრო კონტრაბანდის შესახებ. პარლამენტის სხდომები დაიწყება ხუთშაბათს.

გალიპოლის კუნძულზე, კრიტისა და არბორის მიდამოებში მკაცრად უმკაცრესი ბრძოლა. ორივე მხარეს საშინელი ზარალი მოსდის. აზიის სანაპიროს ბატარეები მოკავშირეთა პოზიციებს და ჯარით დაცვითულ ტრანსპორტებს ზარბაზნებს უშენენ.

რუსის ორმა ავიატორმა თოფხანები და აზიის ნაპირებზე ყუმბარები ჩამოყარეს, დაჭრილ-მოკლულია სულ 31 ოსმალნი, 8 ბერძენი და 3 სომეხი.

ინგლისის წყალქვეშაში ჩასდირა ოსმალის ოთხი შალანდა, რომელიც ლამსაკიდან გალიპოლში ვიეგზავრებოდა.

სტამბოლის ორმოც-და-ათ პოლიციანი გარნიზონი გაფაქცივით ეშვადება გალიპოლის კუნძულზე გასამგზავრებლად.

პეტროპოლი, 12 აგვისტო. იმ უხედურების გამო, რომელსაც ვანიცდის რუსეთი მტრის შემოსვლით, უწყობდნენ სინდონს გადასწყვეტა მოუწოდოს მართლმადიდებელ სამწყსოს ახალ საგანგებო მარხვის შემოსაღებად 25 აგვისტოდან დაწყებული 29 აგვისტომდე, ამ დროს იდღესასწაულება ქალაქ ვლადიმირის უწმ. ღვთის მშობელი, რომელმაც გადაარჩინა მოსკოვი თემურლენგის 1395 წლის შემოსევისაგან.

სტოკჰოლმი, 11 აგვისტო. ვენიდან მიღებულ ცნობით, სახელმწიფო დალატისათვის სასამართლომ ჩამოხრობა გადაუწყვეტა რეინსტაგის დებუტატს მარკოსს, უმაღლეს სასამართლოს წევრს ვლადიმერ კიროლოვისს, პერვიშულ ვეჟელს კირლე ჩარლიუნაკევიჩს, ლეოველ ექვმს ივანე დროგომილოვიჩს, „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტს დიმიტრი იანჩევიჩს, ერთს მემამულეს და ერთს მეტელს—ყველა ესენი რუს ნაციონალისტთა პარტიის ეკუთვნოდნენ.

ბუჰარასტი, 12 აგვისტო. სარწმუნო წყაროებიდან გვეტყობინებენ, რომ ვენაში მყოფ ესპანეთის ელჩმა, რუსეთის მთავრობისგან მიღებულ ინსტრუქციების თანახმად, შეამდგომლობა აღძრა იმპერატორ ფრანც-იოსების წინაშე იანჩევიჩის შესაწყარებლად.

პეტროპოლი, 11 აგვისტო. გერმანიის საზღვაო შტაბი იუწყება, გერმანიის წყალქვეშაში ჩასდირა რუსის დამხმარე გემი ფინთა ყურეში. 9 აგვისტოს ღამე გერმანიის ნაღმოსანი ჩასდირა მტრის ორმა კონტრ-ნაღმოსანმა ზებრიუგესთან, სატერიტორიო წყალთა საზღვრის გადაღმა. ეკიპაჟის ერთი ნაწილი დახმობას გადაარჩინეს.

30 აგვისტო. გაზეთები უფრო და უფრო ილაშქრებენ იმ ფარული მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც გერმანია აწარმოებს შეერთებულ შტატებში და რომელიც დაარღვევა არა მარტო არაგვისკენობის (ნეიტრალიტეტის) პრინციპის, არამედ ძირითადი კანონებისა. გერმანიის ელჩის ბერნსტორფის გერმანიის სამხედრო და საზღვაო მინისტრების საკუთარი ხელით ნაწერი საბუთების გამოაშკარავება. ცხად ჰყოფს რომ ამ ორგანიზაციის პირდაპირ გერმანიის საელჩო ქსელავს; ამიტომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გადასწყვიტა ყველა ამის ვამხელა და საქმე სამოსამართლო უწყებას გადასცა. ბრალდების მუხლებად არის წამოყენებული: განზარაბე ბეჭდვითი ზიტყვისა და აღმინისტრაციის მოსამსახურეთა მოსყიდვისა, გაფიცების მოწოდება, საბუთების მოპარვა, მეცადინეობა გაემართნათ აღმოსავლეთის ნაპირზედ ფარულ უმავთულო ტელეგრაფის სადგურისა, გემებზე ჯოჯოხეთის მანქანების გამოკლება, ფაქტური შეკვეთა სხვა და სხვა საქონლის დასამზადებლად იმ მიზნით რომ ხელი შეეშალათ სამხედრო სურსათის დამზადებაში სხვებისთვის, ფართე პროპაგანდა ყალბი ცნობებისა და მოსყიდვა საჭირო პირებისა და სააგენტოებისა რომ შეეცდნათ შეიყვანონ არა მარტო ხალხი არამედ კონგრესის წევრებიც.

სოლუნი, 10 აგვისტო. სტამბოლიდან იუწყებიან, მეტროლ ოსმალთა სულის სიმშენვის განსამტკიცებლად გერმანიელმა სულთანის სახელით, ათასი ცალი ყურანი საუქრად გაუგზავნეს, ბაირამის დღეს 9 აგვისტოს.

გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ბრძოლის ახალი ხანა იწყება, რომელიც ფრიალ ხელსაყრელია მოკავშირეთათვის.

წვრილი რედაქციის მიმართ პატივცემული ბ-ნი რედაქტორი!

გთხოვთ ორიოდ სტრიქონი დაუთმონ ამ ჩემს განცხადებას თქვენ პატივცემულ გაზეთში. 20 ივნისიდან საერო-ბო აგრონომები და მეც მათ შორის მოშორებულნი ვართ ჩვენ წინანდელ საქმეს—ხალხის სამეურნეო დახმარებას და ამასთანავე ჩაბარებული გვაქვს თვის და ბზის დამზადება ჯარისთვის. ეს წერილიც გამოწვეულია ზოგიერთების საყვედურით, რომ ჩვენ, აგრონომები ამ ბოლო დროს საჭირო ყურადღებას არ ვაქცევთ სოფლის სხვა და სხვა გაჭირვებას მურნეობის დარგში, მაგრამ საუბედუროდ, ზემო მოხსენებულ მიზეზების გამო, ჩვენი დრო ეხლა ჩვენ ხელთ აღარ არის.

აგრონომი ი. ჭურღაია.

შემოწმებული

10 ივლისიდან 10 აგვისტომდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო შემდეგი შემოწმებული: განჯის მაჰმადიანთა დახმარე საოლქო კომიტეტისაგან 1000 მანეთი, დაზარალებულ ქართველთა ბაქოს „დამხმარე კომიტეტისაგან“ 2000 მან., ბაქოს საერთაშორისო „დროებითი კომიტეტისაგან“ 2000 მანეთი, კნ. ვლენე ნიკოლოზის ასულის ჯადარიძის მიერ შეგროვილი—300 მან., ნიკ. თაან. ჯავახიშვილისაგან 5 მან., ყულაბებით შეგროვილი ფული გაზეთის გაყიდვის დროს ქ. თბილისში—1821 მ. 70 კ. ვერა კაკაბაძისაგან 3 მან., ალექსანდრე და მარიამ ჯამბაქურ-ორბელიანებისაგან 10 მან., ვას. კახიძისაგან 5

მან., ვლ. ჯამბაქურისაგან 3 მან., ვლ. კახიძისაგან (ფოთში) 80 მან. და 2 კაპ., ალ. კიკნაძისაგან (ხარაგაულში „მშური სიტყვის“ გაყიდვით) 9 მან., მიხ. ფარცვანიძისაგან (უჯიგნტი) 37 მან. და 17 კაპ., კლიმენტი ბებურიასაგან (ხობში „მშური სიტყვის“ შემოსავალი) 6 მან. და 90 კაპ., 6. მ. წუწუნავასაგან (ქიათურაში „მშური სიტყვის“ შემოსავალი) 70 მან.—ქ. ოლლა ხოფერიანისაგან (ახალ-სენაკში „მშური სიტყვის“ შემოსავალი) 58 მან. 76 კაპ. სულ 740 მან. და 55 კაპ. („მშური სიტყვის“ გაყიდვის სრული ანგარიში ცალკე დიბეჭდება, როცა საზოგადოებას მოუვა ყველა ანგარიში ყროვიცებთან.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთი რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო აღვილობრივ ხაითი არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . . 8 ს. 13 წ. დილ. ნავთულ-ამიერ-კავ. . . 8 „ 40 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 8 „ 58 „ „ ვაზიანიდან . . . 10 „ 06 „ „ ივრიდან . . . 21 „ 15 „ „ საგარეჯოდან . . . 11 „ 58 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 56 „ „ მელაანიდან . . . 2 ს. 16 წ. საღ. გურჯაანიდან . . . 2 „ 37 „ „ კარდენაიდან . . . 4 „ 12 „ „ წოროს-წყალზე . . . 4 „ 44 „ „

გურჯაანიდან . . . 3 ს. 42 წ. საღ. ვანაძიანიდან . . . 4 „ 33 „ „ თელავში . . . 5 „ 27 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ. ვანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „ გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ. ვანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „ გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ. ვანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „ გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ. ვანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „ გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ. ვანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „ გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

თბილისიდან გადის:

წოროს-წყალდან . . . 8 ს. 58 წ. დილ. კარდენაიდან . . . 9 „ 41 „ „ გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „ მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 59 „ დლ. საგარეჯოდან . . . 2 „ 80 „ „ ივრიდან . . . 2 „ 50 „ „ ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 4 „ 58 „ „ ნავთულ-ამიერ-კავ. . . 5 „ 13 „ „ ბილისში . . . 5 „ 28 „ „

საქართველოს მთავრობის განცხადება

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთი რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო აღვილობრივ ხაითი არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . . 8 ს. 13 წ. დილ. ნავთულ-ამიერ-კავ. . . 8 „ 40 „ „ ნავთულ-კახეთ . . . 8 „ 58 „ „ ვაზიანიდან . . . 10 „ 06 „ „ ივრიდან . . . 21 „ 15 „ „ საგარეჯოდან . . . 11 „ 58 „ „ ბალიურიდან . . . 12 „ 56 „ „ მელაანი